

საერთაშორისო კონტროლირებული ოპერაციების შეფასება  
საქართველოში - შეფასების მეთოდების შერჩევა და გამოყენება

ალექსანდრე მაჭარაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
სამართლის სკოლაში მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების  
შესაბამისად*

კერძო (ბიზნეს) სამართალი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი ნარმანია  
(სამართლის მაგისტრი)

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი  
თბილისი, 2015

## აბსტრაქტი

ყოველდღიურად უფრო და უფრო იზრდება სატრანფერო ფასწარმოქმნის მნიშვნელობა როგორც საქართველოს რეზიდენტი, ასევე საქართველოში ეკონომიკური აქტივობების მქონე საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის. შესაძლებელია საქართველოს რეზიდენტ საწარმოს სულ არ ჰყავდეს დაკავშირებულ პირი საქართველოს საზღვრებს გარეთ, თუმცა საკმარისია მან განახორციელოს ერთი ტრანზაქცია მაინც იმ საწარმოსთან, რომელიც რეგისტრირებულია შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყანაში ან ოფშორულ ზონაში, რომ მასზე უკვე მოქმედებს საერთაშორისო კონტროლირებულ ოპერაციებთან დაკავშირებული წესები და იზრდება რისკი იმისა რომ მისი საგადასახადო დასაბეგრი ბაზა შეიცვალოს.

საერთაშორისო კონტროლირებული ოპერაციების შეფასების შესახებ საქართველოში არსებული დოქტრინა, ლიტერატურა, სასამართლო გადაწყვეტილებები თუ სხვა სამართლებრივი წყაროები საკმაოდ მცირეა. ნაშრომში, მსოფლიოში დამკვიდრებული სახელმძღვანელო მითითებებისა, საზღვარგარეთის სასამართლო გადაწყვეტილებებისა და საუკეთესო პრაქტიკის კვლევის გზით, მიმოხილულია ის წამყვანი და მიღებული ასპექტები რაც დღეს საერთაშორისო კონტროლირებული ოპერაციების შეფასების მეთოდის სწორად შერჩევის საკითხის გარშემო არსებობს. მოდელური მაგალითებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების საფუძველზე შევეცდები მკითხველს დავუსაბუთო და ავუხსნა თუ როდის, რატომ და რა მიზნით უნდა მოხდეს თითოეული სატრანფერო ფასწარმოქმნის მეთოდის შერჩევა, პრაქტიკაში გამოყენება და რა პრაქტიკული და თეორიული წინაპირობები არსებობს ასეთი მეთოდის გამოყენებისათვის. ნაშრომის მიზანია საგადასახადო შემმოწმებლებს, გადასახადის გადამხდელებს, საგადასახადო კონსულტანტებს და საგადასახადო დავის გადაწყვეტ ორგანოებს, დეტალურად აუხსნას თუ როდისაა რეკომენდირებული ამა თუ იმ მეთოდის გამოყენება, როდის გვამღევს

გამოყენებული მეთოდი არასანდო შედეგს და რა უნდა მოვიმოქმედოთ იმისთვის, რომ შერჩეულ მეთოდს ყველაზე სანდო შედეგი მივიღოთ.

წინამდებარე ნაშრომში გაანალიზებული საკითხები გვაძლევს იმ დასკვნის გამოტანის უფლებას რომ ფუნქციურ ანალიზს სატრანსფერო ფასწარმოქმნის მეთოდის შერჩევისას შესაძლებელია გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეს, აგრეთვე ნაშრომში დამტკიცდება, რომ საბუღალტრო წარმოების თანმიმდევრულობის გარეშე თითქმის შეუძლებალელია შედარებითი ანალიზის განხორციელება. ნაშრომი აგრეთვე მოიცავს დასაბუთებას იმისა, რომ არ არსებობს წინასწარ დადგენილი წესები როდის, რა მეთოდია უკეთესი, თითოეული ფაქტობრივი გარემოება საჭიროებს ხუთივე ძირითადი მეთოდის ანალიზს.

საძიებო სიტყვები: *გაშლილი ხელის პრინციპი, სატრანსფერო ფასწარმოქმნა, საერთაშორისო კონტროლირებული ოპერაციები, სატრანსფერო ფასწარმოქმნის მეთოდები, შედარებადი დამოუკიდებელი ფასის მეთოდი, გადაყიდვის ფასის მეთოდი, ფასნამატის მეთოდი, მოგების გაყოფის მეთოდი, ოპერაციის სუფთა მარჯის მეთოდი.*

## Abstract

The meaning of transfer pricing is continuously increasing for the residents of Georgia, as well as for multinational enterprises having economic activities in Georgia. The resident entity of Georgia may not have related person abroad, however, one transaction is sufficient with entity, which is registered in the country with preferential treatment/offshore country for enacting rules of transfer pricing the risk to change taxable base is increasing.

The doctrine, literature, court decisions and other legal sources on transfer pricing are not well-developed in Georgia. The thesis will review the leading and acceptable aspects which exist on the transfer pricing methods by studying the numerous courts judgments and best practices. Based on judgments and model examples thesis will try to prove and explain when, why and for what aims each transfer pricing method shall be chosen, used in practice and what practical and theoretical conditions exist for such methods. The aim of this thesis is to explain in details to tax auditors, taxpayers, consultants and dispute settlement bodies, when each method is recommended, when the chosen method gives not-reliable results and what can be done to gain most reliable result.

The issues analyzed in the thesis brings the conclusion that, functional analyze in choosing transfer pricing method can have vital meaning. The thesis will prove that comparative analyze is practically impossible without consistent accounting. In addition, the thesis will demonstrate, that an established rule for choosing when, which method is better, does not exist. Each factual situation needs to be analyzed in the view of all major five methods.

*Keywords: arms-length principle, transfer pricing, transfer pricing methods, comparable uncontrolled price method, resale price method, cost plus method, profit split method, transactional net margin method*